აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

18.06.2020 წელი 01-04/42 #

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო - ტექნიკურ ფაკულტეტზე სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის #1, 2010 წლის 25 სექტემბრის #9(10/11), 2013 წლის 3 ოქტომბრის #8(13/14) დადგენილებების შესაბამისად ვბრძანებ:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები ჩატარდეს : საინჟინრო - ტექნიკურ ფაკულტეტზე;
2. არჩევნები ჩატარდეს 2020 წლის 7 ივლისს 12 საათიდან 17 საათამდე.
3. კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 2020 წლის 23 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით 12 საათიდან 15 საათამდე; მისამართი თამარ მეფის ქუჩა #59, I კორპუსი, აუდიტორია #1138.
4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.
5. არჩევებში მონაწილეობის მსურველებმა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ)ცნობა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.
გ) განცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ.
6. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდზე.
7. ბრძანების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის შესაბამისი ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე) დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნი კომისიას და ფაკულტეტების დეკანებს.

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.

10. კონკურსანტების მიერ პრეტენზიების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 8 ივლისის ჩათვლით 16 საათამდე.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აწსუ რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

აწსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე : მინდია ბერეკაშვილი